




საშურის მოახბა



№32(313)

18 ოქტომბერი, ორშაბათი, 2021 წელი

საშურში, ივერიის“ სტადიონის რეაბილიცია უახლოეს პერიოდში დასრულდება

პროექტის ფარგლებში, მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და სტადიონის შიდა განათება. ფილებით მოპირკეთდა სტადიონის გარშემო, საფეხმავლო ბილიკები დამონტაჟდა ელექტროტაბლო, გარე პერიმეტრზე-განათებები, განხორციელდა ტრიბუნაზე შიდა კომუნიკაციებისა და ვენტილაციის სისტემების გამართვა.

საშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები, სულ მალე, დამონტაჟდება სკამებიც, რომელიც თეთრ და ცისფერ ფერებში იქნება გადაწყვეტილი.

„ივერიის“ სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს და მისი ღირებულება 6 183 407 ლარს შეადგენს.

თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სტადიონი, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში პროფესიული სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.



საშურის მუნიციპალიტეტის სოფელ კრისხევში, ბეტონის გზის მოწყობა და-სასრულს უახლოვდება

ადგილზე იმყოფებოდნენ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს თვალს ადევნებდნენ საშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე და მერიის ეკონომიკის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი. მათი განმარტებით, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. პროექტის ფარგლებში, ბეტონის გზის დასავებად განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, მოსწორდა და მოიხრემა ტერიტორია, მოეწყო სანიაღვრე არხები და დამცავი გაბიონები.

სამუშაოების ღირებულება, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჰედევ ჯორჯია“ ასრულებს, 573 267 ლარს შეადგენს.

სპორტული ცხოვრება: რეალობა და პერსპექტივები

სპორტული პოტენციალი უფრო მეტად გამოვიყენოთ

საშურის ცენტრალური სტადიონის ჯერ კიდევ დაუსრულებელი მშენებლობის ხილვამ არა მარტო დიდი სიხარული მომგვარა, არამედ რეალური იმედებიც ჩამისახა, რადგან საქართველოს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის საშურის სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესოა. ერთი კია, თუ საშურელმა სპორტსმენებმა, უპირველეს ყოვლისა ფეხბურთელებმა წარმატებას მიაღწიეს, ტრიბუნების დამატება დაჭირდება, რათა მოზღვავებულ გულშემატკივარს სათანადოდ უმასპინძლონ.

დიახ, მჯერა, რომ მშენებლობის დამთავრების შემდეგ აღნიშნული არენა არამარტო ფეხბურთის, არამედ სპორტის სხვა სახეობების აღორძინებას და განვითარებას უთუოდ შეუწყობს ხელს.

ყოველივე აღნიშნულის თქმის უფლებას მაძლევს ის რეალობა, რაც მთლიანად მუნიციპალიტეტში სუფევს. აქაური ახალგაზრდობის სპორტული პოტენციალის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა ქვეყნის სპორტულ პრესაში. საშურელ სპორტსმენებს ქვეყნის, ევროპის და მსოფლიოს მასშტაბით, არაერთი მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიუღწევიათ.

კარგად მახსოვს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ხალხით გაჭვდილი სტადიონი, რომლის არქიტექტურა გამორჩეული იყო მაშინდელ სპორტულ საქართველოში.

ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე თავს არ ზოგავდნენ აქაური სპორტსმენები. მაყურებელთა ტაშითა და გამამხნეველი შეძახილებით აღფრთოვანებული მძლეოსნები, თუ „ივერიის“ ფეხბურთელები (რომლებიც სხვათა შორის საქართველოს დამოუკიდებელი პირველი ჩემპიონატის მონაწილეები არიან) და მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძოდნენ.



აქვე, ორიოდ სიტყვით, საშურის საფეხბურთო გუნდზე უნდა ვთქვა. აქაური ფეხბურთელები, ხომ ყოველთვის გამოირჩეოდნენ ტექნიკით, ფიზიკური მონაცემებით, აზროვნებით, ტექნიკური მრავალფეროვნებით. საშურის გუნდთან თამაში ტიტულოვან საფეხბურთო კლექტივებსაც კი უჭირდათ. რაშია საქმე, რატომ აღარ ბრწყინავს საშური საქართველოს საფეხბურთო რუკაზე? ეს მაშინ, როცა აქაური ფეხბურთელები, ადგილი როცა აღარ იყო, სხვა რაიონების ღირსებას იცავდნენ.

რატომ არ ვიყენებთ საქართველოში აღიარებულ სპეციალისტს ვლადიმერ ხაჩიძეს (ამ ერუდირებულ და თავმდაბალ პიროვნებას), მას ხომ მართლაც შეუძლია უმოკლეს დროში მონახოს ნიჭიერი, უნარიანი ფეხბურთელები და შექმნას ბრძოლისუნარიანი გუნდი, რომელიც მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს აღიარებულ საფეხბურთო გუნდებს. ხალხური ანდაზისა არ იყოს, „თურაშაულის პატრონი ტყეში რატომ ვეძებთ პანტას“ - გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსი, შევექმნათ (გაგრძელება V გვერდზე)

ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავებისთვის, გაზეთში „საშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494კვ.სმ.).

ფასიანი რეკლამის შეთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი - 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შეთხვევაში- 98 ლარი და 80თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 49 ლარი და 40 თეთრი.

გაზეთის „საშურის მოამბე“ - რედაქცია

აქს მედას ორი მხარე?

მიგრაცია ძველი, დიდი და უსასრულო პროცესია, რომელსაც ვერა-ნაირ ჩარჩოში ვერ მოაქცევ, არც თავი აქვს, ვერც ბოლოს იწინასწარმეტველებ, მიზეზიც მრავალფეროვანია - შეიარაღებული კონფლიქტები, უმუშევრობა, ეკოლოგიური კატასტროფები... სახელმწიფოებმა და მათ შორის ყველაზე ცივილურმაც, სპეციალური უწყებები შექმნეს ამ პროცესების დასარეგულირებლად. სახეზე 21 - ე საუკუნე გვაქვს, კომპიუტერული ტექნოლოგიები ადამიანის ფანტაზიას სცდება, ცხოვრება ლილაკება და სენსორებზეა აწუბილი, მოიხედავ ამ დროს და ვინაა შენი მეზობელი? ვისი ტკივილის გაზიარება გიწევს? ვისი ინტერესების გათვალისწინების მოვალეა სახელმწიფო? დიახ, ესენი თავისივე ქვეყანაში იძულებით გადაადგილებული ადამიანები არიან, მიზეზი? მიზეზი - ომი! ომი პირდაპირი მნიშვნელობით: შეიარაღებული, სამხედრო შეტაკება თავისი სეპარატისტულ - ოკუპანტური გაგებით...

ვაჟა ციქუბაძე 58 წლისაა, ქარელის რაიონის სოფელ კნოლევში დაიბადა და გაიზარდა, საძმო სახლში ცხოვრობდნენ ის და მისი ძმა, როგორც ხშირად ხდება საქართველოში - დედამამიშვილთან ახლოს! დიდი ოჯახის და დიდი მეურნეობის პატრონი იყო: შვიდი სული საქონელი, ცხვარი, ღორი, კურდღელი, ქათამი, სახნავ - სათესი, სად ეცადა ვაჟას ქალაქისკენ გასახედად? მუხლჩაუხრელად შრომობდა ნინოსთან (მეუღლე) ერთად ქართველი კაცის უპირობო პროგრამით: შვილების დაზრდა, სწავლა - განათლება, გზაზე დაყენება ... გადიოდა დრო შიდა ქართლის შიდა გულის ერთ პაწია,



კობტა სოფელში, სულაც არ გეგმაგდა ოჯახი ცვლილებებს 2008 წლის აგვისტომდე... საპაერო დაბომბვის ეპიცენტრში რომ მოხვდა, მხოლოდ მაშინ დაფიქრდა პირველად, მამაპაპური სახლის დატოვება გარდაუვალი რომ იქნებოდა, ოჯახს, სამ შვილს ვერ გაწირავდა! მეურნეობის გადარჩენას იმ მომენტში ვინ დაეძებდა, ოღონდაც ცოლშვილი გამოეყვანა სამშვიდობოს... ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ჩავიდა, ფეხები უკან რჩებოდა, გული საგულეს არ იყო, თვალზე ბინდი ეკვროდა, სანამ მშობლიურ კუთხეს იხილავდა „იქნებ შეცდნენ“, „იქნებ ჩემი არა“ ... უთხრეს, შენი სახლი აღარ არისო და აპა, გადაეშალა მწარე რეალობა : დამწვარი, ჩამონგრეული კედლები და ხვდა, ცხვარ - ძროხის ჭაჭანება აღარ იყო, მხოლოდ ორი სული საქონელი შეეფარებინა სასწაულებრივად გადარჩენილ ძმას... ჩამოჯდა, რამდენ ხანს იჯდა თავზარდაცემული არ ახსოვს, რა არ დატრიალდა მის თავში?! ერთი გაფიქრება, ისიც კი დაუშვა, ნეტავ რამე ფილმში ხომ არ მიღებენო? არა, არ გამოვიდოდა სასოწარკვეთა და კაეშანი, სამი შვილი შემოაპყურებდა! ადგა, გამოირეკა თავისი ორი სული ძროხა, ძმას მაგრად გადაეხვია და წამოვიდა, დაშორდა დედამამიშვილს, სოფელს, შესისხლხორცებულ ხეობას... ქალაქად ჩამოვიდა, ტყუილად გაჩერება სიკვდილს, დამარცხებას ნიშნავდა, როგორც კი ოჯახი და თავი უსაფრთხოდ დაიგულა, გააგრძელა კაცმა ჭაპანის წევა, ნინო გვერდით ედგა, შვილებიც ჩაებნენ და ასე ნელნელა, გადარჩენაზე, ცხოვრების გაგრძელებაზე ფიქრით მოღონიერდა ოჯახი, კნოლევზე ტკივილი ტკივილად რჩებოდა, ფსიქოლოგიურად ესეც დაძლიეს, ან სად იყო დარდის დრო?! მალე სახლის შექმნაც შეძლეს და პა, ისევე ჩადგა კალაპოტში ცხოვრება შვილებზე, სირცხვილ - ნამუსზე, აქეთურ - იქითურზე ფიქრით! ოჯახმა ერთად დგომით დამწვარი სახლის აღდგენაც დაიწყო და დღემდე მისი სახურავის ქვეშ მოქცევაც შეძლო.

კნოლვეი დღევანდელი რეალობით ქართული მხარის მიერ კონტროლირებად და ბოლო სოფლად ითვლება, ავღუვის გორაზე ქართული პოლიცია განლაგებული და სულ რამდენიმე ასეულ მეტრში უკვე რუსი დგას. კნოლვეიდან მიგრირებულ ადამიანებს დევნილის სტატუსი არ მიენიჭათ, ეს სტატუსი მხოლოდ ზნაურ - ცხინვალის მოსახლეობამ მიიღო, სამაგიეროდ სახელმწიფო ყოველმხრივ შეეცადა ინფრასტრუქტურის განვითარებით დაემაგრებინა ადგილობრივი, ყველაფერი მოუწყო, ზოგადად, რასაც სოფელი ითხოვს ხოლმე - გზა, გაზი, წყლის ჭაბურღილი, სკოლის გარემონტებულ - გამყარებული შენობა. სოფელში რომ შესვალ, მართლა გაგეხარდება: აგერ მსხვილფეხს დაინახავ, მერე ქათმებს, წიწილებს, ბატებს, ირგვლივ თვალს მოავლებ და ულამაზეს სერებს, მინდვრებს, ნახელავ - დამუშავებულ ნაკვეთებს, იტყვი, აქ ცხოვრებას არაფერი სჯობს! ფრონისხეობის ეს ძველი, გასაოცარი, სალოცავებით მდიდარი სოფლები თავისი ხალხითაც გამორჩეულია, საკუთარი გამოცდილებით ვიცო, ჩემი დედულეთია, ოღონდ ცოტა ქვედა მხარე, ხალხი მშრომელი, წესიერი, უწყინარი, ადვილად რომ არ მიატოვებენ და გასაყიდად ვერ გაიმეტებენ სახლ-კარს.

ციქუბაძეების სახლთან ახლოს კობერიძეების სახლია, სახლს პირობითად თუ უწოდებ ბლოკით სახელდახელოდ აშენებულ, ორმოციოდე კვადრატულ მეტრ ოთახს, უშველებელი, ქვით მყარად ნაშენი სახლის ნანგრევების ფონზეც რომ უსუსურად გამოიყურება, მაგრამ ის ხუთსულიანი ოჯახ-

ის ერთადერთი თავშესაფარია, ორი მცირეწლოვანი ჰყავდათ კობერიძეებს 2008-ში, ახლა მესამეც მიემატათ. ყოველდღიური რუტინით დაღლილი, თავდავიწყებული დიასახლისი ვინ იცის რამდენჯერ გახედავს ერთ დროს სოფლის ამდღებულ ადგილას შედგენილი, ლამაზი სახლის ჩამოშლილ, ნახანძრად და უკვე გადარეცხილ კედლებს და მწარედ ამოიხრებს, ისიც არ იცის ვისი მსახვრალი ხელი მოხვდა: რუსის, ოსის, თუ ვინმე სხვა გადამთიელის? არც ის იცის, შეძლებს თუ ვერა სიცოცხლეში მის აღდგენას, თუ ამ ოცდაათ კვადრატში მოუწევს ახალგაზრდობის გატარება. მისი შვილები? განა სხვა ქართველისგან განსხვავებულია მათზე ფიქრები? განათლება, დაბინავება, მიხმარება... ღმერთო, გაძლება მიეცი! ჯავახიშვილების სახლია იქვე, გულსაკლავად, ესეც უზარმაზარი! როგორ უყვართ ამ ხეობაში დიდი, კაპიტალურად მოწყობილი სახლები, მერე მთელი ცხოვრება ამ სახლების მოვლა და რა გასაკვირია, მსგავსი მიჯაჭვულობა პქონდეთ თავიანთ კერაზე ამ ხალხს?! აგერ, ჯავახიშვილისთვის კი აუშენებია მთავრობას პატარა საცხოვრისი, მაგრამ იქ არავინაა, დაკეტილია, მითხრეს პატრონი შრომით მიგრაციაშია წასული, ვეგბ საჭირო თანხას მოუყაროს თავი და სახლი ააშენოს თავის ძველ ადგილასო.


კნოლევში კიდევ არაერთი სახლი შეეწირა ომის ამოხრებულ ქაოსს, მაგრამ აქ სიცოცხლე გაგრძელდა და საბედნიეროდ, კიდევ მოჩანს პერსპექტივა, იქით, ზნაურისკენ ანევი, ნული, ოქონა, ბალთა, თიღვა და კიდევ ბევრი ქართული სოფელი აგვისტოში პრაქტიკულად მიწის პირისაგან აღიგავა. მახსოვს, ადრე, ერთ სუფრაზე ანეველ ახალგაზრდა კაცს შევხვდი, დედაქალაქში პატრულად მუშაობდა, ცოტა რომ დალია, თავის ბავშვობაზე ალაპარაკდა, მეც კითხვები მივაყარე და ბოლოს, ამდენი ხელოვნურად შენარჩუნებული სიმშვიდის მერე, აღარც ცრემლებს მოერიდა, ხმაც ღმუილნარევი გაუხდა და აღმოხდა: „ანევი, ჩემი ანევი“... არასოდეს დამავიწყდება ის ბიჭი და ის ემოცია, ეს სამოიდე სიტყვა, ყველაფერს რომ იტყვს, იმ სევდასაც, მის მამამ ოჯახი რომ გამოისტუმრა და თავად იქაურობას შეეწირა...

ძნელია, საკუთარ ფეხებს მოწვევტილი ადამიანი გაამხნევეს, ენაც ვერ მოვიტრიალდებო და ფიქრობ, ნეტავ რამე შემეძლოს, ნეტავ... დიდი სურვილი მაქვს სახელმწიფო გაძლიერდეს იმ დონეზე, შეძლოს თითოეული მათგანი დააბრუნოს, ეს პროგრამა მაქსიმუმია, მინიმუმ ხან გამოვა, ხან ვერა, მით უფრო მიგრაცია არაა მხოლოდ ქართული პრობლემა და საგნებით შესაძლებელია ჩვენც გავხდეთ უცხოტომელების თავშესაფარი, ჩვენც ვართ მოვალე განვახორციელოთ სამშვიდობო მისია, ალბათ...

ზემთ შრომითი მიგრაცია ვახსენე, ოჯახის სარჩენად სოფლიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში წასვლა - წამოსვლა, ვერასოდეს მოვაბომბებს გამოქცეული ადამიანების იძულებით გადაადგილების მიზეზთან, სამარცხვინო მაინც არაა იმასთან შედარებით, რაც ადრე ხდებოდა, ოჯახებით რომ მიდიოდნენ, ღირსების და პატივმოყვარეობის შელახვის ფასად უცხო ქვეყანას თავისი ქვეყნიდან პოლიტიკური ნიშნით დევნილებად რომ ბარდებოდნენ... ვერ დამრახავ ადამიანს, საშინელი სამედიცინო დიაგნოზით, ხარისხიანი მკურნალობის აუცილებლობით რომ ცდილობს საზღვარი გადაკვეთოს და იქიდან სრულიად თუ არა, ნაწილობრივ გამოფანტულ მანც დაბრუნდეს.

შრომითი მიგრაციის ავსა და კარგზე ბევრი თქმულა და დაწერილა, ფაქტია ამ მოვლენამ 90 - იანი წლებიდან მოყოლებული, უამრავი ოჯახი გადაარჩინა შიმშილს, მეტიც, ქვეყნის სასარგებლოდ ეკონომიურადაც გააძლიერა. ბუნებრივია, სახელმწიფომაც აწონ - დაწონა ხალხის მოთხოვნა და დასაქმების მიზნით გამსვლელთა დახმარებას ოფიციალური სახე მისცა. გამოცხადდა გერმანიაში დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, პირველივე დღეებში ელექტრონულ პლატფორმაზე რამდენიმე ათეული ათასი მსურველი დარეგისტრირდა, ამ პროგრამით, სამთვიანი ვადითაა წასული ჩემი შვილიც, რომელიც შტუდგარდის შემოგარენში სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებშია ჩართული.

ძალიან თუ ჩავუღრმავდებით, იქნებ მიგრაციაში წასვლა ვიდაცისთვის თვალის ახელაა და საკუთარი თავის პოვნის შანსი, ან ზოგიერთი ქალისთვის ოჯახური ძალადობისგან თავის დაღწევა, ან კაცისთვის ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობისგან გაქცევა შორიდან უფრო კარგად დახმარების გამართლებით? ვინ იცის, ვინ გვეტყვის, ვიდაცას ამის ახსნაც არ აქვს, რატომ მიდის და დიდხანს რატომ არ ბრუნდება, თემა სენსიტიური და პირადულია, მიზეზი, პროცესი და შედეგი დაუთვლელი და დაუწერელი... ოღონდაც ომი, ნგრევა, მსვერპლი ნუ იქნება და იარონ, იმოდრონ, გაიცვალოს აზრები და ენერგიები, კარგის დანახვა ყველაფერში შეიძლება, როდის იყო მედალს ორი მხარე არ პქონდა?!
ირინა გოცირიძე



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31)

„გათენდა თუ არა ახალი წელიწადი, – აღნიშნეს მათ, – სამხედრო მატარებელი ხაშურში შემოვიდა. ჩვენ, ყველანი, გამოვედით და მატარებელს მივეკვებინეთ. გაგვეხარდა კიდევ. ბევრმა სადგურს მიაშურა ტვილისის ამბების გასაგებად. არ ვიცოდით ჯერ, გაფიცვა ახსნილი იყო თუ არა. არც ის ვიცოდით, ჯარი რისთვის ჩამოვიდა. როგორც გამოვიდნენ სადგურის ბაქანზე, მიჰყვებოდა ხელი ხალხის დაჭერას. პირველად დაიჭირეს და ძალზე სცემეს სადგურის უფროსის თანაშემწეს ხეინოვს. კასირი გიორგი ჩარხიაშვილი საშინელი ღრიალით მოათრევს სადგურზე და კონდახით თავიც გაუთხლიძეს. ამგვარსავე ცემატყეპით მოათრევს საკუჭნაოს გამგე თომაშვილი. მალე სადგურს ჯარი შემოარტყეს. ნაწილი ჯარისა და ყაზახებისა ჯგუფ-ჯგუფად დაჰყვეს და ჟანდარმების წინამძღოლობით დაბაში გაჰგზავნეს რკინის გზის მოსამსახურეთა დასაჭერად. მოიყვანეს სადგურზე რატინი, ალავერდოვი, ზაიცვეი, კვლიაშვილები, დარასელია და სხვანი. ასე 20 კაცამდე. მერე წავიდნენ ობერ-კონდუქტორის ზაიცვეის ცოლის შესაპყრობად. ყაზახებს გაუძღვა კონდარმი პეტრენკო და ქალი წვილ-კვილით მოიყვანეს. დაჭერილი საპატრონო ვაგონში ჩამოწყვედეს. იჭერდნენ სხვებსაც. ზოგი სახლდან გამოჰყავდათ, ზოგი დუქნიდან. ისეთი წვილ-კვილი იყო მთელს ხაშურში, რომ კაცს ჯოჯოხეთი ეგონებოდა. მოჰყავდათ დაჭერილები, უკან მოსდევდნენ ტირილით ცოლები და ბავშვები. ნაცემ და დასისხლიანებულ ხალხს ვაგონში ამწყვედევდნენ. განხრეკის დროს დაუხარალებელი არ გადარჩა არც ერთი კაცი და არც ერთი სახლი. ყველა ამის შემდეგ მოხელე-მოსამსახურეებს და სახელმწიფოს მუშებს გამოუცხადეს, გსურთ თუ არა სამსახურიო. ნება დართეს შეკრებილიყვნენ და პასუხი მიეცათ. თუ უარს გამოუცხადებდნენ, 24 საათის განმავლობაში უნდა დაეცალათ სახელმწიფო სადგომები და სამუდამოდ გამოსთხოვებოდნენ სამსახურს.

ხ ა შ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს (1 6 9 3 - 2 0 2 0 6 6)

ნაშუადღეის ოთხ საათზე, ადგილობრივ კლუბში შეიკრიბა 300 კაცამდე. კრება ვერავითარს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. უკვე შედამებული იყო. მთელს დაბაში ტანისამოსი არაფერს გაუხდია. ნაშუადღეის 2 საათზე ცეცხლი მოვეო ვანო ბერიძის და დევედარიანის სახლებს. დაიწვა სულერთიანად სამანუფაქტურო მაღაზიები აკოფოვისა და აღბაშევისა. იქვე დაიწვა სახმელეთის სარდაფი ბეგალოვისა და გველიანისა... დევედარიანის სახლიდან ცეცხლი მსწრაფლ გადავიდა არულოვის სახლზე. ამ სახლის დუქნის პატრონებმა ძლიერ იზარაღეს. მალე სართულში სცხოვრობდა ჩიქოვანი, რომელმაც ვერაფრის გატანა ვერ მოასწრო. ცეცხლი გადავიდა აბაიაძეების სახლში. აქ დაიწვა ორი სამანუფაქტურო მაღაზია და ერთი მესაათისა. სახლიც სულ დაფურვდა. ამავე დამეს დაიწვა ტასია ბერიძის სახლი, სადაც მოთავსებული იყო ღვინის სარდაფი და ქაშოვეის საკერავი მანქანის საწყობი. ცეცხლი გაუჩნდა აგრეთვე მიროტაძეების სახლს და ყოველივე დანადგარი. ამ სახლის ზემო სართულში მოთავსებული იყო სასტუმრო „კავკაზი“, ხოლო ქვემოში – სახელმწიფო და დუქან-მაღაზიები... ამავე დამეს კიდევ უფრო თავზარ-დამცემი ამბავი მოხდა. საშინელ წვილ-კვილში ვინ რას გაარჩევდა. მხოლოდ მეორე დღეს გავიგეთ, როგორ გამოეთრიათ ერთ-ერთი სომხის გასათხოვარი ქალი. ხოლო ქართველის ოჯახიდან დედა და გასათხოვარი ქალი. ამ ქალებისათვის ნამუსი აეხადათ. ასე მოხდა ბევრგან სხვაგანაც. მეორე დღეს 2 იანვარს, ისევ დაიწყო რბევა, ძარცვა და ჩხრეკა. წინა დამის საშინელებით თავზარდაცემულ ხალხში ხმა გაავრდა, ამაღამაც ცეცხლს მოუკიდებდნენ. ხალხმა აღარ იცოდა, სად წასულიყო. ბევრნი გადაესახლენ იმათთან, ვინც სახელმწიფო სახლებში ცხოვრობდნენ. თითოეულ ოჯახში 20-30 კაცმა შეაფარა თავი. ზოგი დაბიდან სოფლებისაკენ, ზოგიც სურამისაკენ გაიხიზნა. ამ დღეს, დილის 9 საათზე, შეიკრიბნენ გაფიცულნი და დაადგინეს, განაახლონ მუშაობა სადგურსა და სახელმწიფოში. მოხელეებს ხელი მოაწვდინეს. შეპყრობილი რატინის გარდა, ყველანი გათავისუფლდნენ. ობერ-კონდუქტორი ზაიცვეი ხელმძღვრედ დააბატირეს. ჩხრეკამ გააძლია დამის II საათამდე. მოქანცული ხალხი მიღადა. დამის თერთმეტ-ნახევარ საათზე დაბაში საშინელი ხმაური ასტყდა. მოისმა გუდოკის განგაში, ზარების რეკა და ორთქმავლების წვილი. წამოიშალა ხალხი, კიდევ ცეცხლი გაჩენილიყო. პირველად შურდაიას ხის დუქნებს მოსდებოდა, აქედან გადავიდა ბახაკოვის 2 სართულიან სახლზე... დაიწვა ქართველ ებრაელების დუქნები ჯანაშვილებისა (10,000 მან. ზარალი), ალაჯანოვის ხორბლეულების საწყობი (1,000 მან. ზარალი) და სხვა... ამინათად დაწოკებულს ხალხს 3 იანვარს თავი შეუყვია, დიდ ძალი ხალხი, ქალი, ბავშვი, დიდი და პატარა მისულა ჯარის უფროსთან და შეუხივლია თავისი გაჭირვება. ხალხს უთქვამს: რად გვაგდებთ ასეთ ცეცხლში, რისთვის გვარბევთ, ასე ცხოვრება აღარ შეგვიძლიან, ბარემ უბრძანეთ, ყველას აქვე თავები დაგვაყრევინონო. ჯარის უფროსს უთქვამს, დაწყნარდით, აწი აღარაფერი იქნება, ყაზახებს ისევ ტვილისში დაგაბრუნებო. ქართლის გენერალ-გუბერნატორის უფლებით ხაშურში დაინიშნა პოლკოვნიკი ნაცველიშვილი. ეს უკანასკნელი ჩასულა 4 იანვარს ხაშურს. ეხლა მშვიდობიანობაა, მაგრამ ცალიერ დაბაში სხვა რა იქნება. ყველაფერი ჩემი თვალთ ვნახე. დავიარე ნახევარი დაბა და ვერსად აღამიანს ვერ შევხვდი. მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ რაც მცხოვრებთ გაუკრიათ ტუნელთან მომხდარი შეტაკების ამბავი ყაზახებსა და მილიციონერებს შორის, ძალზე დამფრთხლან და გახიზნულან.”

იანვრის პირველ რიცხვებში ხელისუფლებამ მოახერხა სურამის უღელტეხილის დაკავება. აჯანყებულებმა უკან დაიხიეს. უკვე 11 იანვრისათვის ჯარის ნაწილებმა ხელში ჩაიგდეს მიხაილოვო-სამტრედია- ფოთის რკინიგზის ხაზი და ტელეგრაფი. რკინიგზის ერთ-ერთი მოსამსახურე 12 იანვარს გაზეთ „ცნობის უფრცელში“ აღნიშნავდა: „რკინის გზაზე ვმსახურობ. 9 იანვარს დაინიშნული ვიყავი ქუთაისისაკენ წასასვლელად და წავედი კიდევ, რადგან კარგა ხანია არ ვიცოდი, რა ხდებოდა იმერეთ-გურიაში. ამიტომ ყურადღებას ვაქცევდი ყველაფერს, რაც გზაზე მხედებოდა. ხაშურამდის ბევრი ვერაფერი ცვლილება შევაიმინე სოფლებს. მივედი ხაშურში. ელდა მეცა, როდესაც თვალი გადავაგვე დაბას. ყველაფერი გადაწყვეტილი და აოხრებული იყო.”

ასეთი მიმე შედეგებით დამთავრდა ხაშურისათვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. ხელისუფლებამ დაიწყო აჯანყებულთა მიმართ მკაცრი ანგარიშსწორება. პირველ რიგში ისინი მოითხოვდნენ მოსახლეობისაგან იარაღის ჩაბარებას. ხაშურში, როდესაც ბოქაულმა იარაღი მოითხოვა „ხალხმა მიიტანა რაც ჰქონდა. ძველი დამბანები, ჟანგის ხანჯლები (ამბობენ, ორი ყაზახი ეწვალა და ერთი ხანჯალი ქარქაშიდან ვერ ამოაძრო), მიიტანეს ძველებური, კაჟიანი თოფები და ყველა ის იარაღი, რომელიც კი ხალხს მოეპოვებოდა. ბოქაულმა დაჰხედა თუ არა ამ აღამსა და ევას დროის იარაღს, თქვა: ეს რა მოიტანეთ, ეს რა იარაღია, ამით უნდა მომბატოვო, მასულელებით თუ რა არისო. ხალხი ეფიცებოდა, ღმერთი, რჯული სხვა იარაღი არა გვაქვსო”.

ამ მხრივ „ხაშური საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა. მახლობელ სოფლებიდან ჯგუფ-ჯგუფად მოსულიყვნენ გლეხები და მრავლად მოეტანათ მამა-პაპათა მიერ დატოვილი იარაღი ბოქაულისათვის ჩასაბარებლად. მათის ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ სოფელი ჭალა გაუჩხრეკიათ, რადგან იქ იარაღი ეგულეობდათ”, მაგრამ „ბევრი ვერაფერი აღმოუჩნიათ” და სოფელშიც არავინ დაუბატონებიათ.

ხაშურში დეკემბრის აჯანყების 80-მდე აქტიური მონაწილე მინც დააპატიმრეს. დეპოს 200-ზე მეტი მუშა და მემანქანე დაითხოვეს სამუშაოებიდან აჯანყებასა და საგაფიცო მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

ხელისუფლების მხრიდან გატარებული ასეთი მკაცრი ღონისძიებების მიუხედავად

ხაშურის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები მაინც განაგრძობდნენ წინააღმდეგობას და შესაფერის მომენტში გამოსვლებსა და გაფიცვებს აწყობდნენ. „უკიდურეს ზომამდე მისულმა რეპრესიებმა სულით ვერ დასცა ათას ჭირში გამოვლილი ხალხი, - აღნიშნავდა გაზეთი „შრომა“ - ოდნავც ვერ ჩააქრო იმის გულში მართალი, ადამიანური სურვილები, ირგვლივ გამეფებულმა სამხედრო წესებმა და აი, დღეს, კვლავ ფიქრობს ხალხი წინანდებურად, კვლავ თავისუფლების სიყვარულით სძებრებს მისი გული.”

1906 წლის ივნისში მოეწყო თბილისის მუშა-მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად გამოეხმაურა ხაშურიც.

22 ივნისს, ხაშურელმა რკინიგზელებმა გაფიცვა გამოაცხადეს, რომლის შესახებაც ჟანდარმერიის პოლკოვნიკი რედროვი კავკასიის მთავარმმართველს შემდეგს წერდა: 22 ივნისს, დილის 11 საათზე, თბილისის ამბებისათვის მხარის დაჭერის მიხედვით, სადგურ მიხაილოვოში ვიდაცის მიერ რეველვერიდან რამდენიმე გასროლის შემდეგ სამუშაო მიატოვა ყველა მემანქანემ, ხელოსანმა, წვეის სამსახურის მუშებმა და მოძრაობის მოსამსახურეებმა, მდგომარეობა უფრო იმანაც გაართულა, რომ თბილისიდან მომავალი საფოსტო მატარებელი გაფიცულთა მოქმედებით დაეჯახა ისარს, გადავარდა ლიანდაგიდან და ჩახერგა გზა. ამის გამო დამსჯელმა რაზმმა, რომელიც თბილისიდან მიდიოდა, ვერ მიიღო სათანადო ზომები.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაფიცულებს სარკინიგზო ბატალიონის ჯარისკაცებიც მიემხრნენ. გაფიცულები მოითხოვდნენ 8 საათიან სამუშაო დღეს, ხელფასის გადიდებას, სამუშაოდან დათხოვილი მუშების აღდგენას და დაზარალებულ მუშებზე მატერიალური დახმარების გაწევას.

რკინიგზელებს მხარს უჭერდნენ ადგილობრივი ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებიც, რომლებიც ასევე მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. „ისინი, – ნათქვამია სურამის უბნის ბოქაულის მიერ გორის მაზრის უფროსისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში, – მოითხოვდნენ ერთი ვერსიი ხის დახერხვაში მიეღოთ 5 კაპიკი და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა სახერხის მესამე ნაწილსა და მუშებს შორის ორმხრივი შეთანხმებით.

სურამის უბნის ბოქაული აქვე მიუთითებს რომ გაფიცვა გამოწვეული იყო თბილისში მომხდარი გაფიცვის ზეგავლენით.

ხელისუფლებამ, შემდგომში გაფიცვების თავიდან ასაშორებლად, სათანადო ღონისძიებებს მიმართა. შემოიღო სამხედრო წესები, გააძლიერა რკინიგზის სადგურისა და სახელმწიფოს დაცვა და პატრულირება. „თვეზე მეტია, – წერდა 1906 წლის 2 აგვისტოს გაზ. „შრომა“, – რაც აქ სადგურზე ერევნის პოლკის მეთხვე ბატალიონი სდგას. ბატალიონის უფროსი პოდპოლკოვნიკი კიკნაძე გაფაციცებით თვალყურს ადევნებს, რომ სადგურზე არავითარი აჯანყება, უწყობა ან კასებზე დაცემა არ მოხდეს. ამ ბატალიონის გარდა, აქა სდგას ორი რატა სარკინიგზო ბატალიონისა. ეს ბატალიონები მოსამსახურეთა გაფიცვისთვის მზად არიან... როგორც ირკვევა, სამხედრო წესების ახსნის ნაცვლად, ჩქარა მოსამსახურეებსაც სამხედრო უფროსები ეყოლებათ. ამ ახრით აქ ჯერ ერთი აფიცურია აღნიშნული, რომელიც სადგურის უფროსის თანაშემწის თანამდებობას სწავლობს...”

ხელისუფლებამ, ისევე როგორც თბილისში, ადგილებზეც სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება დაიწყო. იგი განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთის სათათბიროს დათხოვნის შემდეგ. ხაშურში ამ დროს განვითარებულ მოვლენებზე გაზეთი „შრომა“ წერდა: „სათათბიროს დათხოვნამ და რეაქციის გამარჯვებამ აქაც დააღონა ხალხი. შეგნებულნი წინაღუე ჰგრძობდნენ რეაქციის ხელმძღვრედ გამარჯვებას. სათათბიროს დათხოვნის მერე დღესვე, ოთხი საუკეთესო კაცი დაითხოვეს დეპოდან. ესენი არიან: ჯანელიძე, შენგელია, ლომიძე და მემანქანე რატა. ამათ აბრალდნენ 22 ივნისის გაფიცვაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ნეტავ სხვა რომელმა მუშამ იმუშავა იმ დღეს, რომ ეს ოთხი გამოარჩიეს...”

23 ივნისს, აქ ტენგინის პოლის სალდათებმა ჩამოიყვანეს ბორჯომში შეპყრობილი სურამის ბეზსოვრები დათიკო სულაიაშვილი. ეს სალდათები სულაიაშვილს დეკემბერში სადგურ მცხეთაზე (ხარაგაული) კაპიტან დავითოვის მოკვლას აბრალდებდნენ. შეპყრობილი და ძალზე ნაცემი დათიკო გორის საპყრობილეში წაიყვანეს”.

ხაშურისა და მისი რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ხაშურის არალეგალური სტამბის დაარსება და მისი საქმიანობა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ავღაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენის შემდეგ, 1906 წლის დამდეგს, ხაშურში ჩაიხდნენ ა. გუგუშვილი და კამო. ხოზბერიძეების ბინაზე მათ ჩაატარეს ადგილობრივ რევოლუციონერთა ერთ ჯგუფთან თათბირი, რომელზეც განიხილეს ხაშურში არალეგალური სტამბის მოწყობის საკითხი. გადაწყდა, რომ სტამბა მოწყობილიყო ვ. ხოზბერიძის ბინაზე. იმავე წლის დეკემბერში რკინიგზის თბილისის მთავარი სახელმწიფოს მუშებმა, მძებმა სიმონ და მიხეილ ჯაფარიძეებმა საბჭოთა მანქანების მოწყობილობები და ნახევარ ტონამდე შრიფტი თბილისიდან ჩაიტანეს ხაშურში. მაგრამ, აქ ვ. ხოზბერიძის ბინაზე სტამბის მოწყობა ვერ მოხერხდა ხაშურში შექმნილი არასასურველი ვითარების გამო. ხოზბერიძის ბინა დაბის ცენტრში მდებარეობდა, იგი რევოლუციონერთა თავმოყრის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა და ხელისუფლების მხრიდან ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

სტამბის მოწყობილობები ხაშურიდან სოფელ ცხრაძუხაში არჩილ ბირკაძის სახლში გაიტანეს, მაგრამ აქაც არ მოხერხდა მისის გამართვა. ამის შემდეგ შეირჩა შედარებით საიმედო ადგილი – სოფ. თავგუთი, სადაც თრიალეთის ქელი ძირში გამოკვეთილი იქნა გამოქვაბული, რომლის სიგრძე 8, ხოლო სიგანე 3 მეტრს შეადგენდა. დღეს ეს გამოქვაბული ცნობილია „დამურის გამოქვაბულის“ სახელწოდებით.

სიმონ და მიხეილ ჯაფარიძეებთან ერთად, სტამბის მოსაწყობად თბილისიდან ჩამოვიდნენ ასოთამწყობი მუშები სერგო თაყაიშვილი და ოსტო ახოზაძე. მათ ეხმარებოდნენ ადგილობრივი რევოლუციონერები ანდრო ბოლეთაშვილი, ვასო და ლოლა ხოზბერიძეები, ლენტი გაჩეილიაძე, ოლია ჩუბინიშვილი, მეტეღე ვასო საძაგლიშვილი, მებორნეები სტეფანე მამიაშვილი და მიხეილ ტაბატაძე, წითელრაზმელები ნიკოლოზ ტალახაძე, ტარასი მაჭავარიანი, ალექსი ხუციშვილი, სანდრო ნოზაძე, რეზო ციციშვილი, სანდრო გოგალაძე, ილიკო და ტატო ჩაღუნაძეები.

სტამბაში დაბეჭდილ პროკლამაციებს ხაშურში, ბორჯომში, სურამში, ქარელსა და გორში ავრცელებდნენ სიმონ კაპანაძე, ტატე ჩაღუნელი, მიხეილ ტაბატაძე და სხვები.

1907 წლის 30 ივნისს, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილება ბორჯომში გავრცელებული პროკლამაციის შესახებ პოლიციის დეპარტამენტს წერდა: ამა წლის 12 ივნისს დაბა ბორჯომის ქუჩებში მიმოფანტული იყო მიხაილოვის ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის გამო დაბეჭდილი პროკლამაციები ქართულ და რუსულ ენებზე. პოლიციელების მიერ აღმოჩენილი და აკრეფილი პროკლამაციები გადაეგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს.

ხაშურის სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციებიდან მხოლოდ 3 ცალი არის შემორჩენილი: „ამხანაგებო, მოქალაქეო!“, რომელიც დაიბეჭდა 1907 წლის 19 მაისს.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #21,22,23,25)

ამ 12 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ათდღიური სახნავი საბატონო მიწა, ხნავს რვადღიურს, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს საკმაო შემოსავალი.

27. ნინია ღონდაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: სესია და ხახუტა, მათი დედა.

ამ ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ცნობა არ არის-დ.ხ.

28. დათიკა ზუმბაძე, მისი ცოლი, ვაჟები: სესია, დიმიტრი და პაატა, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გიორგი, მათი დედა.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი სამი სული, საიდანაც აქვს სარჩო.

29. გოგია მანხაძეშვილი (ალბად მანხაშვილი - დ.ხ.) მისი ცოლი, ვაჟები: სოსია, თევდორე და პეტრე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა მამუკა, მისი ცოლი, ვაჟი ბერო, 2 ქალიშვილი, სოსიას ცოლი, ვაჟი ანდრო, ქალიშვილი, თევდორეს ცოლი.

ამ 14 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სხვის ექვსდღიურ მიწას, იღებს 70 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს საზრდოს.

გლეხები, რომლებიც ნაჩვენებია იყვნენ, როგორც ევსტათი აბაშიძის, ახლა კი ნაჩვენებია ახნაურ გლახა ყიფიანთან

1. თევდორე ცუცქირიძე, მისი ცოლი, ვაჟები: გიორგი, ივანე და სიმონი, ქალიშვილი, გიორგის ყავს ცოლი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ყავს რქოსანი პირუტყვი 8 სული, ხნავს 3დღიურ საბატონო მიწას, იღებს 30 კოდ პურს, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. თამაზ თურმანიძე, მას ყავს ცოლი, ვაჟი პეტრე, პეტრეს ცოლი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხნავს ღალით აბაშიძეების სამდღიურ მიწას, იღებს 30 კოდ პურს, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. დავით ბლუაშვილი, მას ყავს ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ნინია, მათ ყავთ დედა.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხნავს აბაშიძეების ორდღიურ მიწას ღალით, იღებს 20 კოდ ხორბალს, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

შენიშვნა- 1. ეს სოფელი გაშენებულია წყაროებთან, წყალი არ არის საკმარისი, მიწები ამ სოფელში, როგორც ბატონები აცხადებენ ვარგისია სავარაუდოდ 400დღიური, მწირი, უნაყოფოა 200დღიური, სოფელს არ აქვს კუთვნილი ტყე, სარგებლობენ აბაშიძეების აგარაკებიდან, არის 2 წისქვილი, მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობაა ხენა-თესვა და სხვა სამუშაოები, არის მესაქონლეობა და მცირე მებაღეობა.

2. წინა აღწერით ნაჩვენებია იყო მხოლოდ საბატონო გლეხები 34 კომლი, ზოგი მათგანი იხდიდა სურსათს თავად აბაშიძეების გლეხების რიცხვში, ზოგი საერთოდ არ იყო დაბეგრული, ახლა კი ჭირისაგან გარდაცვლილებისა და განსახლებულების გარდა ნაჩვენებია-მხოლოდ საბატონე გლეხები, ახნაურების გარდა, 30 კომლი, რომელთაგანაც გამოსადგების გადახდა შეუძლიათ თავად ივანე და ქალბატონ სალომე აბაშიძეების ორი უსახსროს გარდა, 14 კომლს, ხორბალი-ქერი-(რაოდენობა არ არის მითითებული-დ.ხ.), თავად ივანე დავითის ძე აბაშიძის ერთი უსახსროს გარდა-4 კომლს, ხორბალი 21 კოდი, ქერი-14 კოდი, ახნაურ შიო ყიფიანის 3 კომლს, ხორბალი 9 კოდი, ქერი-6.

სოფელ ტეზერში-თავად ევგენი აბაშიძის ყოფილი გლეხები, ახლა კი ივანე ქაიხოსროს ძე აბაშიძის და ქალბატონ სალომე აბაშიძის კუთვნილები.

1. ივანე აბრამაშვილი, ქვრივი, მისი ვაჟები: პეტრე და გაბრიელი, პეტრეს ცოლი, ვაჟები: შიო და სიმონი, ბიძაშვილები: თედორე, გლახა, გოგილა და დათია, გოგილას ცოლი, მათი დედა.

ამ 12 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ფლობს ოცდღიურ საგვარეულო მიწას, ხნავს ათდღიურს, იღებს 120 კოდ პურს, აქვთ ორდღიური სახნავი ვენახი, საიდანაც იღებს 25 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, ფუტკარი 3 სკა, წისქვილი 1 ბორბალზე შემოსავალს არ იძლევა, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. გოგია ბეროზაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი როსტომი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ბერი, მისი ცოლი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ფლობს ოთხდღიურ საგვარეულო მიწას, იღებს 20 კოდ პურს, აქვს ნახევარდღიური სახნავი ბაღი, იღებს 3 კოკა ღვინოს, ყავს რქოსანი პირუტყვი, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. ივანე ჯიგორიშვილი (?), მისი ვაჟი გოგია, გოგიას ცოლი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამდღიური სახნავი საგვარეულო მიწა, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად გიორგი აბაშიძის ყოფილი გლეხები, რომლებიც ახლა ეკუთვნიან თავად ივანე აბაშიძეს

1. ახნაური დავით ორჯონიკიძე, მისი ცოლი, ვაჟი სოსია, 3 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ზურაბი, მისი ცოლი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ათდღიური სახნავი საგვარეულო მიწა, ხნავს 15დღიურს, იღებს 200 კოდ პურს, ერთდღიური სახნავი ვენახი, საიდანაც იღებს 10 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 13 სული, 1 ცხენი, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. ახნაური ზაალ ორჯონიკიძე, მას ყავს დედა. ამ ორსულიან ოჯახს აქვს სახლი, 100დღიური(?) სახნავი საგვარეულო მიწა, ხნავს ხუთდღიურს, იღებს 80 კოდ პურს, დღიური სახნავი ვენახიდან იღებს 10 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, 2 ცხენი, ხენა-თესვითა

და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. ახნაური ზურაბ ჩხეიძე, მისი ცოლი, ძმისშვილი ქაიხოსრო, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოცდღიური სახნავი საბატონო მიწა, ხნავს ხუთდღიურს, იღებს 50 კოდ პურს, ვენახი ნახევარდღიური სახნავი, საიდანაც იღებს 10 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, 1 ცხენი, 2 სკა ფუტკარი, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

ახნაურ დავით ორჯონიკიძის გლეხები

1. შიო აბრამაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: ზაზა, სიმონი და ივანე

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოთხდღიური სახნავი საგვარეულო მიწა, იღებს 30 კოდ პურს, ნახევარდღიური სახნავი ვენახიდან იღებს 6 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

2. დათიკა კაპანაძე, მისი ცოლი, ვაჟი გლახა, მასთან ერთად ოჯახში მისი ძმა გიორგი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. პარ--- მესხიძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გიორგი.

მოჯამაგირეობს ბატონთან, აქვს საბატონო ხუთდღიური მიწა ნახევარდღიური ვენახი, საიდანაც აქვს 5 კოკა ღვინო. ხენა-თესვითა და ბატონისაგან აქვს სარჩო.

ახნაურ ზაალ ორჯონიკიძის გლეხები:

1. პეტრე მესხიძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ზურაბი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ექვსდღიური სახნავი საბატონო მიწა, ხნავს ორდღიურს, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. გიგოლა ჭი(ნი)?---(ნიტაძე), მისი ცოლი, ქალიშვილი, ძმისშვილი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხუთდღიური საგვარეულო სახნავი მიწა, იღებს 30 კოდ პურს, ნახევარდღიური სახნავი ვენახი, საიდანაც იღებს 5 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

3. დათიკა ხარიშვილი(ხარატიშვილი)?, მისი ცოლი, ვაჟი სოლომონი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ბერი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოცდღიური საგვარეულო მიწა, ხნავს სამდღიურს, იღებს 40 კოდ პურს, ოთხდღიურ სახნავ საგვარეულო მიწას შემოსავალი არ მოაქვს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

4. აბრამ დათიკაშვილი და გოგატა ბლიაძე-ბატონთან მოჯამაგირედ ყოფნისათვის იღებენ მისგან სარჩოს.

თავად ზურაბ ჩხეიძის გლეხები

1. ემედა (?) ჭადაშვილი, (ქვრივი). ვაჟები გოგია და ბერა, მათი ცოლები, გოგიას ვაჟი გლახა, ქალიშვილი, ბერას ვაჟი ნინია.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ოთხდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. სესია ღონდაძე (ქვრივი), მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: სოლომონი და ქიტესა, მათ ყავთ დედა.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, სამდღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

თავად ქაიხოსრო ივანეს ზე აბაშიძის გლეხები:

1. ახნაური გოგია ორჯონიკიძე, მისი ცოლი, ვაჟი ბეჟანი, ქალიშვილი, ძმისშვილი ზურაბი.

ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, 40დღიური სახნავი საგვარეულო მიწა, ხნავს ექვსდღიურს, იღებს 60 კოდ პურს, ერთდღიური სახნავი ვენახი იძლევა 15 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, 1 ცხენი, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

ახნაურ პაპუნა ორჯონიკიძის გლეხები, რომლებიც არ იყვნენ ნაჩვენებია ძველ აღწერაში:

1. ივანე წვევლიძე, მისი ცოლი, ვაჟები: ზაალი და თევდორე, ქალიშვილი მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სოსია, მისი ცოლი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, რვადღიური სახნავი საბატონო მიწა, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, 1 ცხენი, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

2. გოგია მანხაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: გლახა და სოსია, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები : ნინია და სიმონი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, შვიდდღიური სახნავი საბატონო მიწა, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

3. პეტრე ბაბიაშვილი, მას ყავს ცოლი, 2 ქალიშვილი.

ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სხვის ოთხდღიურ მიწას, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით იღებს სარჩოს.

თავად ევსტათი აბაშიძის გლეხები, რომლებიც არ იყვნენ ნაჩვენებია წინა აღწერით.

1. ბერი ჩიტიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ივანე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: სოსია და დათუა, სოსიას ცოლი.

ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ათდღიური საგვარეულო მიწა, იღებს 60 კოდ პურს, ნახევარდღიური სახნავი ვენახი, საიდანაც იღებს 5 კოკა ღვინოს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, 1 ცხენი, 3 სკა ფუტკარი. ხენა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

სპორტული პოტენციალი უფრო მეტად გამოვიყენოთ

(დასასრული)

სათანადო პირობები და შედეგსაც აუცილებლად ვნახავთ. გულდასაწყვეტია, ის ფაქტი, რომ აღტკინება, სპორტული ჟინი თავდება, ნელ-ნელა სანთელივით იღვება. ყოველივე აღნიშნულს სუბიექტურთან ერთად ობიექტური მიზეზებიც აქვს. ბოლო 30 წლის მანძილზე ქვეყანამ იმდენი რამ გადაიტანა, ძნელია ყველა მიმართულებით რადიკალურ გარდაქმნებს შეუწყო ხელი.

სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ სპორტული ნაგებობებიც ააშენოს, მისი ექსპლატაციის ხარჯებიც გაილოს და სპორტსმენთა მოღვაწეობაც დააფინანსოს.



ამდენად, კერძო სექტორმა, განსაკუთრებით მომძღვარებელი ბიზნესმენები, რომელთა შემოსავლები რამდენიმე მილიონსაც კი სცდება, მეტად უნდა ჩაერთონ და იზრუნონ მთლიანად მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით ქ. საშურში სპორტული ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აყვანის საქმეში. წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების დაფინანსების, მათთვის სათანადო სავარჯიშო პირობების შექმნისათვის.

ეჭვი არ მეპარება, რომ აქაური ჯანდონით სავსე და ნიჭიერი ახალგაზრდობა დაინახავს რა მზრუნველ ხელს სახელმწიფოსგანაც და კერძო სექტორისგანაც, უთუოდ დაინტერესდება და გამოავლენს იმ სპორტულ თვისებებს, რაც მათ გუნდტიკურად გააჩნიათ. ვფიქრობთ შედეგებიც არ დააყოვნებს, ჩემპიონების და პრიზორების თვლას ვერ აუვალთ.

როცა ქალაქში სპორტული ცხოვრება გამოცოცხლდება და აღორძინდება, დაბა-სოფლების ახალგაზრდობაც დაინტერესდება სპორტით და შესაძლოა, ახალი ვარსკვლავები იქიდანაც დაითვალდოს.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება არამარტო სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, არამედ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიც ყალიბდება, ახალგაზრდას ნაკლები დრო რჩება უქმად ყოფნისათვის, ნარკოტიკებისათვის, ბილწიტიველობისათვის, ლოთობისათვის, აყალმაყალისა და მცირე თუ დიდი დანაშაულებისათვის.

ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში ჩართვისათვის უთუოდ გვჭირდება კვალიფიციური, პროფესიონალი მწვრთნელები, ორგანიზატორები, რომლებიც პირველ რიგში დამწყები სპორტსმენების მიმართ გამოიჩინენ მზრუნველ და პედაგოგი-

ურ მიდგომებს. ამ მხრივ დიდი როლი ეკისრებათ საჯარო სკოლებში დასაქმებულ ფიზიკულურის პედაგოგებს, ასევე ვეტერან წარმატებულ სპორტსმენებს, რომელთა



გადამზადების შემდეგ ბრწყინვალე სპეციალისტებს მივიღებთ. თქმა არ უნდა, მათ შესაბამის ანაზღაურებაზეც და წახალისებაზეც უნდა ვიზრუნოთ, დარწმუნებული ვარ, რომ ამის შემდეგ საშური საქართველოს სპორტულ რუკაზე კაშკაშა ვარსკვლავებით დაიხუნძლება.

ცალკე თემაა საჯარო სკოლებში სპორტული ცხოვრების გააქტიურების პროცესი. ის მცირე სპორტული მოედნები, ფაქტიურად დაუტვირთავია, ბავშვები არ აქტიურობენ, მარტო ბურთის გაგორება არ არის საკმარისი, მათ ვინმე უნდა გამოუჩინდეს, რათა გზა გაუკვალოს სპორტის რომელიმე სახეობისკენ. ფიზიკულურის მასწავლებელმა შეიძლება ზოგადი განათლება მისცეს მოსწავლეს, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია სპორტის ძირითად სახეობებში კვალიფიციური სპეციალისტის როლი შეითავსოს ამა თუ იმ სახეობაში.

აუცილებელია საჯარო სკოლებში ხშირად ეწვობოდეს სასკოლო შეჯიბრებები, შემდეგ სკოლებს შორის და რაიონულ დონეზეც უნდა ტარდებოდეს ჩემპიონატები.

მსგავსი ღონისძიებები სპორტსმენთა არა მარტო აღზრდის საუკეთესო სკოლაა, არამედ ასობით და ათასობით მოზარდს გაზრდის თავისი კლასის, სკოლის სპორტსმენთა გულშემბატოვრად. შესაძლოა ამ მუდმივ პროცესში ყურადღების მიღმა დარჩენილ ბავშვებშიც გაიღვიძოს სურვილი სპორტულ ღონისძიებებში ჩართვისა და ვინმე, ნიჭის ნაგვიანებმა გაღვიძებამ, ღირსეული სპორტსმენის დაბადებას შეუწყოს ხელი.

ერთი სიტყვით, ზემოთაღნიშნულ თემებზე საუბარი მიუღმივად შეიძლება. დარწმუნებული ვარ გახვითი „საშურის მოამბე“, მსგავს თემებზე საპოლემიკოდ და აზრის გასაზიარებლად ყოველთვის დაუთმობს ადგილს სპორტის სპეციალისტებს, რიგით მკითხველს, რომ მათ საშურის საზოგადოებას მიაწოდონ მნიშვნელოვანი თემები, წინადადებები, აზრები სპორტის განვითარების საკითხებზე. ასევე წარმოაჩინენ ამაგდარ სპორტსმენებს, მწვრთნელებს და ა.შ.

იმედია, საშურის მუნიციპალიტეტში მეტი აქტიურობით იზრუნებს ქალაქსა თუ დაბა-სოფლებში სპორტული პოტენციალის უფრო მეტად გამოყენების მიზნით.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ქალაქში ღირსეული მოქალაქეები ცხოვრობენ და შრომობენ სახე, რომელიც კეთილშობილებითაა სავსე

ექიმი, სტომატოლოგი, ქალბატონი მზია მაჭარაშვილი ჩემი მეგობრის რეკომენდაციით გავიცანი. მოგესხენებათ, ჯანმრთელობის მხრივ როცა გაგიჭირდება, მეტი სანდოობისთვის, ყველგან გაიკითხავ, ვინ როგორი ავტორიტეტით, პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

ქალბატონი მზია მაჭარაშვილის გაცნობა ჩემდა საბედნიეროდ, უფრო სწორად მთელი ოჯახის საბედნიეროდ, ექიმისა და პაციენტის სრული ურთიერთგაგებისა და ნდობის საფუძველზე მოხდა. მისმა კეთილშობილებამ და ყურადღებამ დაგვაძლევინა შიში იმისა, რაც თან ახლავს მკურნალისა და ავადმყოფის ურთიერთობის დაწყებას.

ღიახ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან სპეციალისტები, რომლებიც არად დაგიღვივებენ პაციენტის მდგომარეობას და პირდაპირ იწყებენ მანიპულაციებს, არაკვალიფიციური მიდგომით ზიანს აყენებენ არა მარტო შიშით მისულ პაციენტს, არამედ საკუთარ იმიჯს, ავტორიტეტს.

ქალბატონი მზია რამდენიმე ათეული წელია ერთგულად არჩეულ სპეციალობას, სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას, ეცნობა სტომატოლოგიაში დანერგილ სიახლეებს და პრაქტიკულად იყენებს მრავალრიცხოვანი პაციენტების მკურნალობისას. რაც ყველაზე მთავარია, მისი როგორც სტომატოლოგის, პროფესიონალიზმი იმითაც დასტურდება, რომ თვითოველ პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომები აქვს, მაქსიმალურად ითვალისწინებს პაციენტის ასაკს, ჯანმრთელობის საერთო დონეს, ბოლომდე იბრძვის დაავადებული კბილის გადასარჩენად და ა.შ. მისი კაბინეტიდან გამოსული ყველა პაციენტი ყოველთვის კმაყოფილია, ვერ მაღავენ დადებით ემოციებს. რიგში მყოფს ბევრჯერ გამოგია მისი მაღალი ადამიანური თვისებებისა და ოსტატობის შესახებ თქმული მაღლიერების სიტყვები.

ჩემი და მეუღლის მაგალითზე ვიტყვი, რომ 10 და 15 წლის წინ, მის მიერ დაბუენილი (ნამკურნალები) კბილები დღესაც საღად გამოიყურება.

მისი კეთილშობილებით სავსე სახე, პაციენტებისათვის მხოლოდ სიკეთეს, სითბოს ასხივებს. სწორედ ამიტომ, რომ ისინიც მაღლიერებას სიყვარულით და ღრმა პატივისცემით გამოხატავენ.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ სტომატოლოგიური მომსახურება ფასიანია და როცა შეჭირვებულ პაციენტს უძნელდება მკურნალობის შესაბამისი საფასურის გადახდა, მდგომარეობიდან ისევე ქალბატონ მზიას გამოჰყავს. არ იდარდოთ, როცა გექნებათ, მაშინ გადაიხადეთო. პაციენტებიც ცდილობენ ვალში არ დარჩნენ ამაგდარ ექიმთან.

პროფესიონალი სტომატოლოგს შესანიშნავი ოჯახი ჰყავს, მეუღლე ცნობილი ისტორიკოსი თამაზ ლაცაბიძე საშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორია. შვილებმა უმაღლესი განათლება მიიღეს და ჩაბმულე-

ბი არიან შრომით საქმიანობაში. შეხმატკბილებულ მეუღლეებს ისლა დარჩენიათ სამსახურიდან თავისუფალი დრო ოჯახის კეთილდღეობას, შვილების მომავალს მოიუქდნენ.

დარწმუნებული ვარ, მათი ინტელექტი, შრომითი საქმიანობა კიდევ მრავალ ათეულ წელს გამოადგება საშურის და ქვეყნის საზოგადოებას, მთლიანად მოსახლეობას.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი



ხის კოფეჯები, რომლებიც სიცოცხლეს გაგიდამაბებთ

“ხაშურის მოამბე” აგრძელებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესია ის ქვაკუთხედი, რომელზეც ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლა უნდა დაშენდეს. დღეს კი, შპს “ალგი-2006”-ის საქმიანობას გაგაცნობთ, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტშია დაფუძნებული და თავისი პროფილით, ერთ-ერთი წარმატებული, მზარდი და რაც მთავარია, მომავალზე თუ ხვალინდელ დღეზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. კომუნიტურმა ეპოქამ, ბევრ სიმახინჯეს დაუღო სათავე. განსხვავებულობა სრულიად მიუღებელი ცნება იყო მათთვის და მასზე მაფიქრალ კაცსაც კი სჯიდნენ. აღარაფერს ვამბობთ რაიმე განსხვავებულის განხორციელებაზე. ასეთს, მართლაც დიდი უბედურება ატყდებოდა თავს და, ხშირ შემთხვევაში,



სიცოცხლის მოსპობით მთავრდებოდა. ეს ტენდენცია აისახებოდა ყველაფერში-ჩაცმის სტილში, ხელოვნებაში და განსაკუთრებით, არქიტექტურაში. ე.წ. “ხრუშჩოვკებითა” და სხვა უსახური (რაც მთავარია, ერთნაირი) კორპუსებით მოფინეს მთელი საბჭოთა კავშირი. ინდივიდუალური სახლების მშენებლობაც ერთიანი ნახაზით სრულდებოდა. რატომღაც “გერმანული პლანი” ერქვა (გერმანიაში მსგავსი არქიტექტურით აშენებული სახლები საერთოდ არ არსებობდა), და პირველი სართული 1,8 მეტრზე მაღალი არ უნდა ყოფილიყო. არავითარი სიღამაზე, არავითარინ ესთეტიკა, რადგან კომუნიზმის მშენებარე ინდივიდს, ესთეტიკისთვის არ უნდა მოეცალა. მაღლობა უფალს, უკან დარჩა ის საშინელი დრო და დღეს თავისუფლად შეგიძლია ნებისმიერ არქიტექტურულ ფანტაზიას



ხორცი შეასხა. ახალმა ეპოქამ, ახალი მოთხოვნებიც გააჩინა. განსაკუთრებული მოთხოვნა კი ბეტონირებული კედლების და კონსტრუქციების ხის სახლებით ჩანაცვლება გახდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ მოთხოვნებს ფეხი აუწყო და მომხმარებლებს ასეთი სახლების(კოტეჯების) მთელი კოლექცია შესთავაზა, შპს “ალგი-2006” იყო. მართლაც, საოცარი და უღამაზესია მათ მიერ აგებული კოტეჯების ხილვა-თავს რაღაც ზღაპრულ სამყაროში გაგრძობინებს, სადაც პრინცები და პრინცესები ისვენებენ. უმთავრესი კი, სიღამაზეს რომ თავი დავანებოთ, ამ სახლების ეკოლოგიური სისუფთავეა.



ალექსი ხითარიშვილი (შპს “ალგი-2006”-ის მმართველი დირექტორი)- ჩვენი შპს 2016 წელს დაფუძნდა. მაშინ მოთხოვნა დიდი არ იყო, მაგრამ იგრძნობოდა მზარდი ტენდენციები. პირველი შეკვეთაც მალე მივიღეთ. დღეს კი, შეიძლება ითქვას, გამართული ფირმა ვართ, რომელსაც კლიენტის ნებისმიერი სურვილის დაკმაყოფილება შეუძლია. მასალა რუსეთიდან შე-



მოგვაქვს-რუსული ფიჭვია, რომელსაც საუკუნის გარანტია აქვს. კოტეჯები 20 კვადრატდან იწყება. ამ ფართის კოტეჯში საძინებელი, მისაღები და სამზარეულო შედის. 60 კვადრატში უკვე ორი საძინებელი და ფართო მისაღები და ა.შ. მშენებლობისას თბოიზოლაცია ხდება(ხის მორებს შორის ნაბადი იდება) და ზამთარში სითბოს დანაკარგი, ფაქტობრივად, არ ხდება, ზაფხულში კი გრილია. კოტეჯი მუშავდება ანტისეპტიკით, ფერს კი კლიენტი არჩევს. გვეყავს საკუთარი ბრიგადა. 20 კვადრატის ფართობის სახლი 3 დღეში იგება, უფრო დიდი, მაქსიმუმ, 10 დღეში. ახლახანს, შატლში 600 კვადრატულმეტრიანი სკოლა ავაშენეთ და 20 დღე დაგვიტრდა. კლიენტის სურვილი ჩვენთვის უზენაესია და ყველანი ვცდილობთ, ეს სურვილი რეალობად ვუქციოთ. შეკვეთები უკვე საქართველოს ყველა კუთხიდან გვაქვს. ფასები კი ისეთია, რომ ხელმისაწვდომი იყოს კლიენტისათვის. კონკურენციაში კი ისიც გვეხმარება, რომ ჩვენ მასალის შემომტანი, ასე ვთქვათ, პირველი პირები ვართ და ფასებიც, სხვებთან შედარებით, ჩვენთან დაბალია...



ჩემს ბავშვობაში ხშირად საათობით მითვალეირებია ფინეთის თუ ალიასკას ზამთრის პეიზაჟებიანი სურათები, სადაც ასეთი კოტეჯები ზღაპრულ ელფერს სძენდა გარემოს. მიხარია, რომ უკვე ჩვენს მუნიციპალიტეტშიც მრავლადაა ასეთი ეკოლოგიურად სუფთა სახლები და უსახური „გერმანული პლანი“ ნაშენი ბინები თანდათან დავიწყებთ მიეცემა. დასასრულს კი დაინტერესებულ პირებს ვეტყვი, რომ „ალგი -2006“ - ის ოფისი სურამში, კაკალათხევის უბნის მიმდებარეა, ცენტრალური გზატკეცილიდან ოციოდ მეტრში. გ. გოგოლაძე

ბროლოსნის საჯარო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი დავით ლომიძე და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე. მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.